ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 380

18 დეკემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული 11521 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: № 01.15.04.029.001) 40 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არტისთვის" (ს/ნ: 437062919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული 11521 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: № 01.15.04.029.001) 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არტისთვის" (ს/ნ: 437062919) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 5 დეკემბრის №18.984.1396 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული 11521 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: № 01.15.04.029.001) 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არტისთვის" (ს/ნ: 437062919) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7 700 (შვიდი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**